

# არაბები აჭარის ოქროს ბიზნესიდან მიდიან?

გაზეთი „ალია“ – 9-10 ოქტომბერი, № 124, 2008

კომპანიამ, რომელსაც აჭარაში ოქროს მომპოვებელი საწარმო უნდა აეშენებინა და 400 მილიონ დოლარამდე ინვესტიციები უნდა განხორციელებია, შესაძლოა საქართველო საერთოდ დატოვოს. ამის შესახებ „ალიას“ კომპეტენტურმა წყარომ აცნობა. წყაროს ცნობით ამის მიზეზად ინვესტორები მსოფლიოში შექმნილ ფინანსურ კრიზისს ასახელებენ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მათი წასვლა საქართველოში განვითარებულ საომარ მოქმედებებს უკავშირდებოდეს. ამ ეჭვის საბაბს ის იძლევა, რომ უცხოური კომპანიის წარმომადგენლებმა სწორედ ომის დროს დატოვეს საქართველო და მას შემდეგ აღარ ჩამოსულან.

უფრო კონკრეტულად რომ აგისხნად, აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ ქედის რაიონში აღმოჩენილ ოქროს საბადოს დამუშავებაზე და იქ ოქროს მომპოვებელი საწარმოს აშენებაზე საუბარი უკვე წლებია მიმდინარეობს. ამ დროის განმავლობაში ინვესტორები ამ პროექტის განხორციელებაზე თავს იმიტომ იკავებდნენ, რომ საბადო რთულ რელიეფურ ადგილზეა და შესაბამისად საწარმოს აშენება რთული და ძვირადღირებული პროექტი გახლდათ. ერთი წლის წინ დაფუძნდა ქართული კომპანია შპს „მეტალონჯორჯია“, რომელმაც ამ პროექტის განხორციელებაზე მუშაობა დაიწყო. მას აჭარაში მდებარე ოქროს საბადოს დამუშავებაზე 40 წლიანი ლიცენზია აქვს მიღებული. მისი პარტნიორი ინგლისში დაფუძნებული ფირმა „ტემპლარ მინერალსია“, რომლის დამფუძნებელი და 80%-იანი წილის მფლობელი გახლავთ აფრიკული კომპანია „ნიგერ ურანიუმი“. „მეტალონჯორჯია“ „ტემპლარ მინერალსთან“ ერთად დაახლოებით ექვსი თვეა კვლევით სამუშაოებს ატარებს და „ალიას“ ინფორმაციით მათ ამ საქმეში უკვე 4 მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს.

სიტუაციის გასარკვევად „ალია“ შპს „მეტალონჯორჯიას“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბელგიელ არაბს ალი ძარშმს დაუკავშირდა:

– ინვესტიციების განხორციელება არა მგონია შეჩერდეს. ჩვენი პარტნიორები, ინვესტიციების მოსაზიდად ელოდებიან საერთაშორისო ბანკების გადაწყვეტილებას. ჩვენ ჯერ ვაწარმოებთ კვლევით სამუშაოებს და

დახარჯული გვაქვს 3 თუ 4 მილიონი აშშ დოლარი. საერთო ჯამში, თუ პროექტი განხორციელდა, 300-400 მილიონის ინვესტირება იგეგმება.

– მართალია, რომ თქვენი პარტნიორები ომის დროს წავიდნენ და მას შემდეგ საქართველოში არ ყოფილან?

– დიახ. ომის დროს წავიდნენ, მაგრამ მომდევნო კვირას ველოდებით ერთ-ერთი დირექტორის ჩამოსვლას. პრობლემები არ არის. უბრალოდ პროექტი დროებით შეჩერდა, რადგან ეს ყველაფერი ჩვენს პარტნიორებზეა დამოკიდებული.

რეალურად რატომ ტოვებენ ინვესტორები საქართველოს ან რატომ ვერ ახერხებენ დაგეგმილი რაოდენობით ფინანსების განხორციელებას? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად „ალია“ ეკონომიკურ ექსპერსტ, ლადო პაპავას დაუკავშირდა:

– როდესაც მსოფლიოში არის გლობალური კრიზისი და მთელი რიგი ფინანსური კომპანიების აქციები კარგავენ ფასს, ეს კომპანიები შესაბამისად კარგავენ თავიანთ დანახოვებსაც. ის პოტენციური ინვესტორები, რომლებიც საქართველოში უნდა შემოსულიყვნენ ან უკვე ახორციელებდნენ თავიანთ ბიზნესს, რა თქმა უნდა ფლობდნენ აქტივებს სხვადასხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში და საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე ახორციელებდნენ თავიანთ ოპერაციებს. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ყველა ამ კომპანიას შეექმნათ ფინანსური პრობლემა. ეს მაგალითიც, რომელიც ეხება აჭარაში ოქროს მოპოვებისთვის ჩასადებ ინვესტიციებს, ჩვეულებრივი ამბავია და ჩვენ არაერთ სექტორში მსგავსი პრობლემების წინაშე დავდებით. განსაკუთრებით გაუჭირდებათ არაბულ კომპანიებს, რადგან ისინი, გარდა იმისა, რომ ფლობენ საერთაშორისო კორპორაციების დღეს გაუფასურებად ფასიან ქაღალდებს და შესაბამისად იქ დანახოვებს კარგავენ, დიდად არიან დამოკიდებული ნავთობის ბიზნესზე და შესაბამისად კარგავენ შემოსავლებსაც. ასე რომ, ნუ გაგვიკვირდება, თუ მალე არაბულმა კომპანიებმაც, რომლებიც იყვნენ ან შემოსვლას აპირებდნენ საქართველოში, საერთოდ არ განახორციელონ ან ნაწილობრივ შეზღუდონ ინვესტირება.

– გაქვთ თუ არა ინფორმაცია სხვა კომპანიებმა შეწყვიტეს თუ არა ინვესტიციების განხორციელება და შესაძლოა კიდევ ბევრმა ინვესტორმა დატოვოს საქართველო?

– დატოვა თუ არა სხვა კომპანიებმა საქართველო, ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ, როგორც გითხარით, მოსალოდნელია არაბულმა

კომპანიებმა შეწყვიტონ, ან შეზღუდონ მაინც ინვესტიციების განხორციელება. ჩვენთან ასეთი კომპანიები უკვე მუშაობდნენ, მაგალითად, კომპანია, რომელსაც უნდა განეხორციელებია ფოთის ინდუსტრიული ზონის მშენებლობის პროექტი, სამშენებლო კომპანია, რომელიც წავკისის ველზე მშენებლობას აწარმოებს, თუ არ ვცდები “კემპინსკისაც” არაბული კომპანია აშენებს და ა.შ.

**– ანუ, საქართველოში ინვესტიციების შეფერხება მხოლოდ გლობალურ კრიზისს უკავშირდება და არა საომარ მოქმედებებს?**

– ჩვენთან ორივე პრობლემა აქტუალურია. რა თქმა უნდა, ომის გამო ინვესტიციები გარკვეულად შეფერხდა და ეს ბუნებრივიც იყო. თუმცა, ომი რომც არ ყოფილიყო, ამ კომპანიებს მაინც გაუჭირდებოდათ მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში.

**დომიტრი ტიკარაძე**